

ბამოქვეყნებული შრომები

(2009)

1. ზ. ალექსიძე, ამიერკავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ორიენტაციის დოგმატური საფუძვლები, სამეცნიერო პარადიგმები, თბილისი-ქუთაისი, 2009.

გეოპოლიტიკური მდებარეობა კავკასიის ქვეყნებს გამუდმებით აყენებდა არჩევანის წინაშე აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ იმპერიათა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებს შორის. არჩევანის გაკეთებაში პოლიტიკურთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ ქვეყნების სარწმუნოებრივი ორიენტაცია. სამსაუკუნოვანი პროცესი დამთავრდა საქართველოს დასავლური, ხოლო, სომხეთისა და ალბანეთის აღმოსავლური ორიენტაციის არჩევით.

2. ზ. ალექსიძე, მცხეთის ჯვარი – მცველი ყოვლისა ქართლისა, ანალები, N4, 2009.

სტატიაში განხილულია მცხეთის ჯვრის აგების თარიღის, მისი სახელწოდების, სარწმუნოებრივი, სახელმწიფოებრივი და საერთო კავკასიური ფუნქციის საკითხები.

3. ზ. ალექსიძე, გრიგოლ განმანათლებლისა და საჰაკ პართელის ხილვათა ინტერპრეტაციები ძველ ქართულ პოლემიკურ ლიტერატურაში, ისტორიანი, როინ მეტრეველის იუბილისადმი მიძღვნილ კრებული, 2009.

სტატიაში განხილულია “გრიგოლ პართელის ცხოვრებისა” და “საჰაკ პართელის ხილვის” ქართული ვერსიების ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები, მათი შესაძლო წყაროების, სომხურიდან ქართულად თარგმნისა და მთარგმნელთა ვინაობის საკითხები. ვრცლად არის, აგრეთვე, შესწავლილი შუა საუკუნეების ქართულ პოლემიკურ მწერლობაში ამ თხზულებების გამოყენების მიზნები, თავისებურებანი და წყაროები.

4. ზ. ალექსიძე, გრიგოლ რობაქიძე და ყურბან საიდი (ესად ბეი). ახალი მასალა. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ყურბან საიდის რომანი „ალი და ნინო“ XX ს-ის II ნახევრის ბესტსელერთა რიცხვს მიეკუთვნება. ის მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ქართულადაც. ნაშრომში საუბარია ნაწარმოების ავტორის შესახებ. ასევე, გრიგოლ რობაქიძისა და ყურბან საიდის ურთიერთობებზე. საინტერესო მასალაა მოტანილი „ალი და ნინოს“ და „გველის პერანგის“ შინაარსზე და მსგავსებაზე. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში მოტანილია ახალი მასალა XX საუკუნის უცხოური გამოცემებიდან და საარქივო მასალებიდან.

5. ზ. ალექსიძე, „ლაილაშის ბიბლიის“ საიუბილეო გამოცემის შესავალი სტატია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009.

სტატიაში მოცემულია ე. წ. „ლაილაშის ბიბლიის“ (სხვადასხვა დათარიღებით X-XII სს-ის ებრაული მოსეს ხუთწიგნეული) თავგადასავალი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოხვედრამდე, მოკლე კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური აღწერილობა, თავისებურებანი სხვა ანალოგიურ ტექსტებთან შედარებით, რითაც, სხვა მასალასთან ერთად, დასტურდება საქართველოში განათლებული ებრაული დიასპორას არსებობა.

6. ზ. ალექსიძე. ქართველ ებრაელთა საღმრთო მისია შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ტრადიციით, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, VI, 2009.

ქართული საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, მაცხოვრის ხატი მცხეთაში ჩამოიტანეს შეგნებულად ჩამოიტანეს ქართველმა ებრაელებმა იესო ქრისტეს დავალებით. ი სინი გაემიჯნენ თავიანთ თანამემამულეებს და მონაწილეობა არ მიიღეს მაცხოვრის ჯვარცმაში. ამავე წყაროების ცნობით, წმიდა ნინომ მცხეთისაკენ გამოიკვლია გზა ქართველ ებრაელთა ნაკვალევზე. ერთერთი მთავარი მიზეზი ქართველი ხალხის უმაგალითოდ კეთილი დამოკიდებულებისა ქართველ ებრაელთადმი უნდა ვეძიოთ შუა საუკუნეების ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ასეთ პოზიციაში, თუმცა ისიც არ დამკვიდრებულა გარკვეული ბრძოლისა და კამათის გარეშე.

7. ზ. ალექსიძე, დ. ჩიტუნაშვილი. უბველესი ქართული ოთხთავის უცნობი ფრაგმენტები, წელიწდეული, თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომები, 2009.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხური ფონდის №24 ხელნაწერის დამცავ ფურცლებად გამოყენებულია ქართული სახარების ფრაგმენტი (ლუკა 1,14-26), რომელიც IX-X სს-ით თარიღდება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q ფონდის №213 სახარების ფრაგმენტი (მარკ. 14,72) აღმოჩნდა იმავე ხელნაწერის ნაწილი, რომელიც შემონახულია სომხური ხელნაწერის დამცავ ფურცლებად. Q-213-ის ტექსტი წარმოადგენს სახარების დღემდე უცნობ, ახალ თარგმანს, შესაძლოა, იგი ეკუთვნოდეს «ოზან ვინმეს», რომელიც წყაროებში მოიხსენიება ექვთიმე ათონელის სახარების «შემრყენელად», ნაშრომში გარკვეულია აგრეთვე, როდის მოხვდა ქართულ ხელნაწერი სომხეთში და როდის და ვის მიერ იქნა იგი დაჭრილი დამცავ ფურცლებად.

8. T. Abuladze, The Oriental Scientific and Cultural Area of the Middle Ages and Georgian Science, კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის ჟურნალი “The Caucasus and Globalization”, vol. 3, Issue 1; CA&Press, Sweden (2009)

Т. Абуладзе, Восточный научно-культурный ареал средневековья и грузинская научная мысль, Институт стратегических исследований Кавказа, т.3, вып.1, CA&Press, Швеция (2009)

შუა საუკუნეებში შექმნილი ქართული სამეცნიერო შინაარსის თხზულებები შეიცავს მდიდარ მასალას კულტურული კავშირების შესწავლის თვალსაზრისით. ეს ძეგლები ნათლად ასახავს მეცნიერული აზრის განვითარების ზოგად ტენდენციებს საქართველოსა და მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებში და იძლევა მათი კვლევის საშუალებას ფართო კულტურულ ასპექტში.

ცნობილი მუსლიმი ავტორების (ნასირ ედ-დინ ტუსის, ულუღბეგის, არ-რაზის) თხზულებათა ქართული თარგმანები და გადამუშავებები ცნობილი აღმოსავლური სქემების კვალითაა აღბეჭდილი. ისინი მეცნიერების სხვადასხვა დარგს განეკუთვნება - ასტრონომია-ასტროლოგიას, მედიცინას, ქიმიას, მინერალოგიას და სხვ. ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობაში დაცული თარგმანები და "გარდათქმები" წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს ცოდნის გაერცვლებისა და ტრანსფორმაციის გზების წარმოსაჩენად ახლოაღმოსავლეთის მთელ რეგიონში და ამასთან, განსაზღვრავს ქართველ მოაზროვნეთა როლს შუა საუკუნეების "კომპლექსური" ცივილიზაციის შექმნაში.

9. თ. აბულაძე, "იადიგარ დაუდი" სპარსული წყაროს შესახებ, "მრავალთავი". 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

„იადიგარ დაუდი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული სამედიცინო შრომაა, რომელიც დავით ბაგრატიონის (დაუთ-ხანის) მიერ XVI ს.-შია შედგენილი. იგი ეფუძნება ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ სისტემას და შუასაუკუნეებში გალენისტებისა და არ-რაზის მიერ ფარმაციაში შეტანილ სიახლეებს.

დღემდე არ იყო ცნობილი, კონკრეტულად რომელი თხზულებიდან მომდინარეობს "იადიგარ დაუდი". კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეროვნული ცენტრის შუააზიურ ფონდში დაცული სპარსული ხელნაწერის PAC-432-ის შედგენილობას მე-7 თავიდან უშუალოდ მიჰყვება ქართული თხზულება. თხზულების ავტორი ცნობილი ექიმი-ოკულისტია, რომელმაც შეადგინა თავისი ნაშრომი არაბული და სპარსული კრებულების საფუძველზე მუჰამედ დერვიშ-ბაჰადურ ხანის ბრძანებით. "იადიგარ დაუდის" წყარო უნდა იყოს ან უშუალოდ ეს თხზულება, ან მისგან "გამოკრებილი" (მონთახაბ), რომელიც, შესაძლოა, სპარსულადვე არსებობდა. ამასთან, ქართული ტექსტი უშუალოდ არ მიჰყვება სპარსულს ფრაზეოლოგიის თვალსაზრისით, ტერმინოლოგია კი ფაქტიურად არაბულ-სპარსულია.

10. ც. აბულაძე: რაზე მუშაობენ ქართველი თურქოლოგები , ქართულ-თურქულ ენებზე, ჟურნალი "ფიროსმანი"

წერილში საუბარია იმ თემებზე და საკითხებზე, რაზეც წლების მანძილზე მუშაობდნენ და ამჟამადც მუშაობენ საქართველოში

თურქოლოგები. ნაშრომს აქვს დიდი შემეცნებით-საგანმანათლებლო, საინფორმაციო მნიშვნელობა, ის დაიბეჭდა ქართულ და თურქულ ენებზე.

11. ც. აბულაძე: აკადემიკოსი სერგი ჯიქია – თურქოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, ქართულ-თურქულ ენებზე, ჟურნალი “ხიდი”, 2009.

წერილში წარმოჩენილია ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს სერგი ჯიქიას შემოქმედების საკითხები. გაშუქებულია მისი უდიდესი დავაწლი საქართველოში თურქოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის დაფუძნებაში და მის განვითარებაში. ნაშრომს აქვს დიდი შემეცნებით-საგანმანათლებლო, საინფორმაციო მნიშვნელობა, ის დაიბეჭდა ქართულ და თურქულ ენებზე.

12. ლ. ახოზაძე. „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ ქართული რედაქციები. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოიცა 2009 წელს).

ნაშრომში დეტალურადაა განხილული თეოქთისტე ლეზველის „ცხოვრების“ ქართული რედაქციები. ნახვენებია, რომ ქართულ მეტაფრასულ კრებულებში დასტურდება „თეოქთისტე ლეზველის ცხოვრების“ სამი განსხვავებული რედაქცია, რომელთაგანაც არც ერთს არ მოეპოვება ბერძნული დედანი. აქედან, ერთი ეკუთვნის თეოფილე ხუცესმონაზონს (Ath. 36), მეორე – სტეფანე სანანოისძეს (S-384), მესამე, რომელიც A-188 კრებულშია წარმოდგენილი, ეკუთვნის უცნობ რედაქტორს.

13. ხ. ბაინდურაშვილი. ნადირ შაჰის რელიგიური პოლიტიკა დაღესტანში. კრ. „დავით კაციტაძე-80“. თბ. 2009.

სტატიაში განხილულია ირანის შაჰის – ნადირ-შაჰ აფშარის რელიგიური პოლიტიკა საკუთრივ ისლამში. მისი პოლიტიკურად მოტივირებული მცდელობა შიიზმისა და სუნიზმის უნიფიკაციისა განსაკუთრებით საინტერესო ფორმით ვლინდება დაღესტანში, რაც მის მიერ აჰმედ-ხანისადმი გაცემული ერთ-ერთი რაყამით დასტურდება.

14. ქ. ბეზარაშვილი. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების (Or. 20, Or. 37, „სწავლანი სულიერნი“) შემცველი ეფთვიმე ათონელისეული ხელნაწერი კრებულების ურთიერთმიმართება. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოიცა 2009 წელს).

ნაშრომში დეტალური მსჯელობაა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფთვიმე ათონელისეული კრებულების შესახებ. ხაზგასმულია, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული კორპუსის შექმნას სათავე ეფთვიმე ათონელმა დაუდო. გაანალიზებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-20, 37-ე ჰომილიების და „სწავლანი სულიერნი“ შემცველ ხელნაწერთა შედგენილობა. მათ მიხედვით გაანალიზებულია აგრეთვე ამ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების ასპექტები.

15. ე. გაბიძაშვილი. ეფთვიძე მთაწმიდელის ერთი თარგმანის ირგვლივ შექმნილი გაუგებრობის გამო. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომში საუბარია ეფთვიძე მთაწმიდელის მიერ ათანასეს „ცხოვრების“ თარგმანზე. ავტორის მიერ გაზიარებულია აზრი, რომ ეფთვიძემ თარგმნა ათანასე ალექსანდრიელის „ცხოვრება“ და დეტალურად განიხილავს და ასაბუთებს ამ მოსაზრების სიზუსტეს. მისი აზრით, იმ პერიოდში, როცა მიხნეულია ათანასე ათონელის „ცხოვრების“ თარგმნა შეუძლებელია ეს შესრულებულიყო ეფთვიძეს მიერ და ეს „ცხოვრება“ არა ათანასე ათონელის, არამედ ათანასე ალექსანდრიელის „ცხოვრების“ თარგმანია.

16. ე. გაბიძაშვილი. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 3. ჰომილეტიკა. თბ. 2009

17. ე. გაბიძაშვილი. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 4. ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები. თბ. 2009.

გამოცემები შეადგენენ ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფიების სერიის 3 და 4 ტომებს, რომლებშიც გაერთიანებულია ნათარგმნი თხზულებები ჰომილეტიკის, ბიბლიოლოგიის, ეგზეგეტიკის და აპოკრიფების მიმართულებებით.

18. რ. გვარამია. ზოგიერთი ცნობა რამდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულების ქართულ-არაბული ვერსიების შესახებ. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომში საუბარია იმ ჰაგიოგრაფიული ძეგლების ცნობებზე, რომლებიც ქრისტიანული არაბულიდანაა ქართულ ენაზე თარგმნილი. ამ მიმართებით განხილულია შემდეგი თხზულებების ცნობები: „რომანოზ ახალი მოწამის მარტვილობა“, „ოცი საბაწმიდელი ბერის მარტვილობა“, ნიკოდიმოსის აპოკრიფული სახარების „განძთა ქვაბის“ და ამონიოსის „სინა-რაფთის მამათა მოსრვის“ ქართული ვერსიები.

19. შ. გლოველი. დასავლურ-ქართული სახელმწიფო - „აფხაზთა სამეფო“ და მისი საზღვრები. თბილისი. 2009.

ნაშრომში გადმოცემულია შუა საუკუნეების დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების ისტორია, აღწერილია ამ სამეფოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხები; საგანგებოდაა საუბარი „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრების საკითხზე და გამოთქმულია მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებები.

20. შ. გლოველი. „მეფეთა დივანი“ როგორც საისტორიო წყარო. კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“. XI. თბილისი. 2009.

ნაშრომში განხილულია ბაგრატ III-ის მიერ გამოცემული ე.წ. „მეფეთა დივანის“ მონაცემები, როგორც შუა საუკუნეების დასავლურ-ქართული სახელმწიფოს - „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიის შესწავლის მნიშვნელოვანი წყარო. დეტალურადაა განხილული „მეფეთა დივანისა“ და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის აფხაზთა მეფეების ნუსხის მონაცემები, ნაჩვენებია და ახლებური თვალსაზრისითაა ახსნილი ამ ნუსხებს შორის არსებული განსხვავებები; ნაშრომში, არსებული მონაცემების საფუძველზე, მოცემულია „აფხაზთა მეფეების“ ქრონოლოგიური რიგი და განხილულია ამ მხრივ მნიშვნელოვანი საკითხები.

21. ე. დულაშვილი. კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა თარგმანები X ს-ის ქართული იადგარებში. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

სტატიაში მიმოხილულია საბაწმინდის ლავრაში მოღვაწე VIII-ის ცნობილი ჰიმნოგრაფის კოზმა იერუსალიმელის საგალობლების უძველესი ქართული თარგმანების თავისებურებები. აღნიშნულ თარგმანთა მიხედვით განხილულია თუ რა მსგავსებას და განსხვავებას გვიჩვენებს X ს-ის ქართული იადგარების ნუსხები, კერძოდ, მიქაელ მოდრეკილისა და სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში გადაწერილი იადგარები.

22. ა. თაბუაშვილი, სამართალწარმოება XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში, "საისტორიო ძიებანი", თბ., 2009

სტატიაში განხილულია ერეკლე II-ს სასამართლო რეფორმის არსი. XVI-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის I ნახევარში ქართლის სამეფოში 1 ან 2 სამეფო მოსამართლე (როსტომ მეფის დროიდან მდივანბეგი) იყო. XVIII საუკუნის 60-90-იან წლებში სამეფო მდივანბეგ-მოსამართლეთა რაოდენობა, წინა პერიოდთან შედარებით დაახლოებით ათჯერ გაიზარდა. სარდალ ალექსანდრე ციციშვილის არზიდან (საჩივრიდან) ირკვევა, რომ 1769 წლის ახლო ხანებში, ერეკლე II-ს სპეციალური ბრძანებულებები გაუგზავნია თავადებისათვის, რომლის საფუძველზეც მათთვის სასამართლო-ადმინისტრაციული ფუნქციები ჩამოურთმევია. თავადებს აეკრძალა სასამართლოს საქმიანობაში ჩარევა. ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მოხელის, მდივანბეგ იესე ოსეს ძის ცნობით ერეკლე II-ემ 1778 წელს სპეციალური ბრძანება გამოსცა, რომ ყველა არზა და საჩივარი მდივანბეგებს გაერჩიათ. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი დაკავშირებულია ქსნის საერისთავოს გაუქმებასთან. ეს საერისთავო ფლობდა კლასიკური სათავადოსათვის დამახასიათებელ ყველა ბერკეტს, მათ შორის სასამართლო იმუნიტეტსაც. მისი გაუქმებით სამეფო სასამართლომ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორია და ეს ფაქტი უკვე ბრძანებულებით გაფორმდა. 1778 წლის ბრძანებულება ხანგძლივი სასამართლო რეფორმის დასრულებას წარმოადგენდა. ამავე პერიოდში

დაარსდა „მსაჯულთშეკრებილობა“ და მოსამართლეთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ერთი სიტყვით, ერეკლე II-ს სასამართლო რეფორმა თავადებისათვის თავის სათავადოში სამართალწარმოების უფლების მოსპობასა და ამ ფუნქციის სამეფო სასამართლოსადმი მინიჭებაში გამოიხატებოდა.

23. ა. თაბუაშვილი, ქვეყნის აღწერის საკითხისათვის XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში, ჟურნ. "საისტორიო ვერტიკალები", № 20. თბ., 2009.

სტატია ეხება XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში ქვეყნის აღწერის ორგანიზების საქმეში მომხდარი ცვლილებებს. ქვეყნის ნორმალური ადმინისტრირებისათვის, შუა საუკუნეების საქართველოში, აღწერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ, სათავადოების არსებობის პირობებში, სამეფო ხელისუფლებამ ეს ფუნქცია სადროშოების სარდლებს დაუთმო. ერეკლე II-მ ქვეყნის მმართველობის ცენტრალიზაციისათვის მრავალი რეფორმა გაატარა. წყაროებიდან ირკვევა, რომ ქვეყნის აღწერის საქმე XVIII საუკუნის 70-იან წლებში ცენტრალიზებული გახდა. ამ ცვლილების შედეგად ერეკლე II-ემ თავადებს ჩამოართვა ის ბერკეტი, რომლის საშუალებითაც ისინი მოსახლეობასა და სამეფო ხელისუფლებას შორის ბარიერად იყვნენ აღმართულნი.

24. ნ. თარგამაძე. პირველი ქართული სტამბა. „მწიგნობარი“. 2009.

სტატიაში დაწვრილებითაა გადმოცემული ქართული სტამბის განვითარების ეტაპები, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია ჩვენში თუ საზღვარგარეთ. სტატია შეიცავს ახალ ინფორმაციას არჩილ მეფის საგამომცემლო საქმიანობისა და ღვაწლის შესახებ. ეს ინფორმაცია გამოვლინდა ხელნაწერ A322-ში, რომელიც დათარიღებულია 1862 წლით.

25. მ. კარანაძე. ახალი ქრონოლოგიური ცნობა ბაღვაშთა ფეოდალური სახლის შესახებ. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

სტატია ეხება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულ ეტრატზე გადაწერილ საკმაოდ დაზიანებულ 43 ფურცელს (შიფრით Q-1376). მათი კოდიკოლოგიური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეტრატის ფურცლები წარმოადგენს ერთი საკმაოდ მოზრდილი ხელნაწერის ფრაგმენტებს, კერძოდ, ლექციონარის ნაწილს.

ძირითადი ანდერძს მოსდევს ტექსტის ხელით, მთავრულით შესრულებული სამსტრიქონიანი მინაწერი, რომელის დასაწყისი ასოები გადაწერს, ტექსტისგან გამოყოფის მიზნით, სინგურით დაუწერია: „ოდეს ესე დაიწერა, ქორონიკონი იყო სდთ (1049) ლიპარიტ თურქთა ტყუეობით მოვიდა“. სწორედ, ამ კოლოფონმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება.

დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ლიპარიტ ბაღვაშის თურქთა ტყეობიდან გათავისუფლება ცნობილი იყო 1051 წელით. Sin. 38 ხელნაწერის მინაწერებისა და სომეხი ისტირიკოსის, მათე ურჰაელის ცნობაზე დაყრდნობით ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლიპარიტის ტყეეობიდან გათავისუფლების თარიღს გვაწვდის მხოლოდ Q-1376 ხელნაწერი და, რომ სწორედ, ის უნდა იქნეს მიჩნეული ამ ისტორიული ფაქტის დათარიღების ერთადერთ წყაროდ. ორივე მინაწერი (Q-1376 და Sin. 38), ერთი მხრივ, მიგვანიშნებს იმას, თუ როგორი გულისყურით ეპყრობოდნენ ქართველი საეკლესიო მოღვაწეები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს და, მეორე მხრივ, გამოკვეთს საეკლესიო წიგნების მიმართ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის მიერ ერისკაცობაში გამოვლენილი მზრუნველობის კიდევ ერთ მაგალითს.

26. მ. კარანაძე. ვებგვერდისათვის განკუთვნილი ყდების ელექტროკატალოგის მოცულობა და მისი შედგენის. კრ.: „ქართული ხელნაწერი წიგნი (ვებგვერდის შექმნა)“, 2009.

სტატიაში განხილულია ხელნაწერი ყდის კატალოგის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგების პუბლიკაციის აუცილებლობა; და გამოიჯნულია ამ სახის განსხვავებული ელექტრონული ვერსიების შექმნის პრინციპები. დადგენილია სამეცნიერო-შემეცნებითი კატალოგიში გასათვალისწინებელი ინფორმაციისა და ვიზუალური მასალის მოცულობა; აღნიშნულია როგორც ყდის ერთიანი, ასევე მისი მხატვრული ელემენტების-ტვიფრების კატალოგების შედგენისა და ვებგვერდზე მათი ლინკების სახით ერთიერთკავშირის აუცილებლობა.

27. მ. კარანაძე. X საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერის ყდა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სინის მთაზე ახლად აღმოჩენილ ქართული კოლექციის ერთ-ერთი ხელნაწერის ყდაზე (N/Sin. Geor.26), რომელიც წარმოადგენს IX-X სს. დათარიღებულ მცირე ფორმატის ლიტურგიკულ კრებულს (ზომა: 12,5X14). ყდის ზედაპირზე გამოსახული ტოლფერდა ჯვარი მსგავსებას პოულობს (შეიძლება ითქვას იდენტურიცაა) სინური მრავალთავის (Sin..Georg. 32-57-33) ქვედა ფრთაზე ამოტვიფრული ჯვრის, ისინი ერთი შემსრულებლის ხელს უთითებენ და რომელთა ავტორად იოანე-ზოსიმეა მიჩნეული.

სინური ყდების თავისებურებების განხილვისას, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება პირდაპირი კავშირი სირიულ ხელნაწერებთან, არამედ ყურადღება გამახვილებულია ქართულ კულტურულ არეალში დაღეპილ იმ უძველეს ურთიერთობებზე, რომელიც უკვე ქრისტიანობის პირველი საუკუნიდან საქართველოს ჰქონდა აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან.

28. M. Karanadze. A recently discovered manuscript bairding the Georgian master Ioane-zosime, Vakhtang Beridze, 1 st international symposium of Georgian culture, Georgian Art in the Context of European and Asian cultures, June 21-29, 2008, Georgia (Proceedings), Tbilisi, 2009.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ხელნაწერი წიგნის ყდის ტიპოლოგიური ანალიზი. ამ მხრივ ყურადღება გამახვილებულია სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერის ყდაზე N/Sin. Georg. #26.

როგორც ყდის აღწერილობიდან ირკვევა, სინის ახალი კოლექციის ხელნაწერის N/Sin. Georg. #26 ყდა იდენტურია სინური მრავალთავის (Sin.#32-57-33) ყდის ქვედა ფრთის. ისინი ერთი შემსრულებლის ხელს უთითებენ, რომელთა ავტორად მიჩნეულია იოანე-ზოსიმე.

ნაშრომში ასევე განხილულია ქართული კულტურისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ის უძველეს კავშირები, რომელსაც ადგილი ჰქონდა V–VI საუკუნეების საქართველოში.

29. ლ. კიკნაძე. ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართული ლექსიკონი. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომში საუბარია ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართულ ლექსიკონზე, რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე იოანე ბატონიშვილის სახელით იყო ცნობილი. ეს ლექსიკონი გამოირჩევა ძველი ორენოვანი ლექსიკონებიდან თავისი მოცულობით. ნაშრომში საუბარია ამ ლექსიკონის ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებზე: ერთი არის ორტომეული, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, მეორე კი სანკტ-პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება. ნაშრომში მოცემულია ტექსტის კოდიკოლოგიური აღწერილობა. არის მსჯელობა ვასილ ჭილაძისა და იოანე ბატონიშვილის წვლილზე. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ლექსიკონი წარმოადგენს ქართული ლექსიკოგრაფიის სფეროს პირველ ნიმუშს.

30. დ. კლდიაშვილი, ქართული არისტოკრატია კონსტანტინოლში ჰერეთისა და კახეთის მმართველები, კრებული: ბიზანტინისტიკა საქართველოში, 2, თბილისი, 2009.

წერილი ეხება მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ოთხთავს, რომელიც 1170 წელს გარეჯელი ბერის თეოდორეს მიერ გადაინუსხულ და მდიდრულად იქნა შემკული კახეთისა და ჰერეთის მეფის, აღსართან I-ის ძმის, აბაზისათვის კონსტანტინეპოლის სანახებში, რომანას მონასტრის ღმრთისმშობლის სახელობის მეგეთონად სახელდებულ სოხასტერში.

ხელნაწერის კოლოფონი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XI საუკუნის მეორე ნახევრის რანთა და კახთა სამეფოს მმართველი კვირიკიანთა დინასტიის ცალკეულ წარმომადგენლებზე – გაგიკზე და მის ხუთ ძეზე: მეფე ხსართან კურაპალატზე, ფადლაზე,

კვირიკეზე, რედისავსა და „ბრწყინვალე მეფე“, არკადიპოლისის მთავარ აბაზზე,

მათი ასაკის ზუსტი მითითებით, ბიზანტიაში ამ საგვარეულოს მიერ მიღებულ სამოხელეო თანამდებობაზე და წოდებებზე, აღმსარებლობისა და კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის თაობაზე.

31. დ. კლდიაშვილი. უცნობი წარწერები არტანუჯიდან. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

დაბეჭდილია გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს თურქეთიდან, ქალაქ არტანუჯიდან ჩვენი უცნობი თანამემამულის მიერ გამოგზავნილი არტანუჯის უცნობი წარწერები. ერთი შეხედვით უმნიშვნელო წარწერები, მიუხედავად მათი ფრაგმენტულობისა მაინც მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციის ერთ-ერთი ძირძველი ქალაქის ქართული სიძველეების შესასწავლად.

32. D. Kldiashvili, VarZia - Metochion of the Kykkos Monastery in Georgia and its First Hegoumenos Protosynkellos Joahim, Proceedings of the IV Internacional Cypriological Studies, Leukosia, 2009.

კვიპროლოგთა IV კონგრესის (2008) მასალებში დაიბეჭდილ წერილში განხილულია კვიპროს-საქართველოს ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე და კიკოს მონასტრის მეტოქი იმერეთის ვარძიის მონასტრის პირველი ბერძენი წინამძღვრის, შემდგომში ახტალის ეპისკოპოსის იოაკიმეს მოღვაწეობა საქართველოში.

33. Д. Клдиашвили. Грузины в монастыре Великомученицы Екатерины на Синае, Православная Богословская Энциклопедия, т. XVI, Москва, 2009.

საენციკლოპედიო სტატიაში ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების საფუძველზე ვრცლად არის განხილული ქართველების მოღვაწეობა სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში VI საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით, მათ მიერ იქ ჩატარებული საადმინისტრაციო სამუშაოები და სამწიგნობრო მოღვაწეობა.

34. ე. მაჭავარიანი. მხატვრულად გაფორმებული ქართული ხელნაწერი: შრომის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომში საუბარია ხელნაწერი წიგნის შექმნის შრომით პროცესზე. გაანალიზებულია შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნი, როგორც რთული ორგანიზმი, რომელიც ერთმანეთზე დამოკიდებული, თანმიმდევრული შრომითი პროცესების შედეგად მიიღწევა. ნაჩვენებია, რომ ქართული მოხატული წიგნის შექმნას თავისი სპეციფიკა გააჩნია.

35. ნ. მელიქიშვილი, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები, სახელმძღვანელო, 2009

36. ნ. მელიქიშვილი, იოსებ ფლაგიოსის თხზულების, “მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი”, ქართული თარგმანის ისტორიისათვის, ბიზანტინოლოგია 2, 2009

37. შ. მურუსიძე, ე. შველიძე. „ქართველ მხედართა დარაზმულობის ისტორიისათვის“, კრებ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2 (6), თბ., 2009

ნაშრომში შესწავლილია 1954 წ. ქ. მიუნხენში ქართველი ემიგრანტების მიერ დაარსებული ორგანიზაციის: „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ ისტორია. გაერთიანების დაარსებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები წარმოჩენილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ემიგრანტი მოღვაწეების გაიოზ და შალვა მაღლაკელიძეების პირად საარქივო ფონდში თავმოყრილი გერმანულენოვანი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე.

38. გ. მჭედლიძე. გუდარეხის მონასტერი (ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან), დაიბეჭდა ბოლნელი ეპისკოპოსის ეფრემის ლოცვა-კურთხევით. გამომცემლობა „უნივერსალი“. 2009.

მონოგრაფიულადაა შესწავლილი ქვემო ქართლში მდებარე გუდარეხის მონასტრის ისტორია. სათანადო ისტორიულ წყაროთა გაანალიზების საფუძველზე შესწავლილია გუდარეხის სამონასტრო სენიორიის მეურნეობა და მიწათმფლობელობის ფორმა. 1643 წლიდან გუდარეხის მონასტერი, რომელიც სამეფო მონასტერი იყო, გახდა გერმანოზიშივლთა საკუთრება, ამიტომ მონოგრაფიაში განხილულია გერმანოზიშივლთა სათავადო სახლის ისტორიაც.

39. გ. მჭედლიძე. ფიტარეთის მონასტერი (ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან). გამომცემლობა „უნივერსალი“. 2009.

მონოგრაფიაში განხილულია ქვემო ქართლის მონასტრის – ფიტარეთის ისტორია. შესწავლილია მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ფიტარეთის მონასტრის ისტორია და ამ სამონასტრო კორპორაციის ისტორია მეურნეობა. ფიტარეთის მონასტერი თავიდან იყო ქაჩიბაძე-ბარათაშვილების საგვარეულო მონასტერი, ხოლო XVII საუკუნის შუა წლებიდან ის გახდა ყაფლანისშვილების სათავადოს საკუთრება, ამიტომ, ნაშრომში შესწავლილია ფიტარეთის მონასტერთან კავშირში ყაფლანისშვილების საგვარეულოს ისტორიაც.

40. გ. მჭედლიძე. ქვათახევის მონასტრის ისტორიიდან (XIX საუკუნის ქართული ისტორიული მასალების მიხედვით). „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომი შესრულებულია XIX საუკუნის ქართული ისტორიული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით. ის ეხება ქვათახევის მონასტერს, რომელიც თამარის ეპოქას განეკუთვნება და აგებულია XII-XIII სს-ში. ნაშრომში მოცემულია მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული მსჯელობა. დეტალურადაა განხილული XIX საუკუნიდან აქ შეცვლილი სამონასტრო ცხოვრება. ამ პერიოდში ის სამეფო მონასტერი აღარაა. აღწერილია რუსეთის პოლიტიკის უარყოფითი შედეგები ქართული ეკლესია-მონასტრებისათვის. საუბარია ქვათახევის მონასტრის წინამძღვრებზე და დეტალურადაა მოწოდებული ინფორმაცია არქიმანდრიტ ტარასი ალექსი-მესხიშვილის მოღვაწეობაზე. ნახვენებია მისი წვლილი ქვათახევის ღმრთისმშობლის მონასტრისადმი და საერთოდ, წარმოჩენილია ის როგორც იმდროინდელი მნიშვნელოვანი მოღვაწე.

41. თ. ოთხმეზური. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში: „აღვსების საკითხავის“ ბასილი მინიმუსის განმარტება. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომში საუბარია ადრებიზანტიური სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებაზე. განხილულია X საუკუნის ბიზანტიელი მწიგნობრის, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსის – ბასილი მინიმუსის კომენტარებზე. მას შეუკრებია გრიგოლის თხზულებებზე ადრე არსებული კომენტარები, შეუშოკლებია, გაუმარტივებია ისინი და ამ სახით მიურთმევია ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის. ბასილი მინიმუსის კომენტარები, კერძოდ გრიგოლის თექვსმეტი სიტყვის განმარტება ქართულად ეგრემ მცირეს უთარგმნია. ნაშრომში ავტორი დეტალურად მიმოიხილავს ბასილი მინიმუსის კომენტარის ტექსტის გამოცემის პრინციპებს.

42. თ. ოთხმეზური, ეგრემ მცირე და „ბერძულად სასწავლელი“ სიტყვები, წახნაგი (ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული), 1, 2009.

სტატიაში განხილულია XI საუკუნის ცნობილი ქართველი ელინოფილი მწიგნობრის, ეგრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის ერთ-ერთი თავისებურება – ბერძნული სიტყვების ტრანსლიტერაციით გადმოტანა ქართულ თარგმანში. მოყვანილია ტრანსლიტერაციის მაგალითები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებიდან და მათი კომენტარებიდან; ახსნილია ტრანსლიტერაციის გამოყენების მიზეზები და გარკვეულია მათი ფუნქცია ელინოფილურ თარგმანებში.

43. თ. ოთხმეზური, **Maximus the Confessor's Ambigua ad Iohannem in the Georgian Translation Tradition, in Maximus Confessor and Georgia, in Iberica Caucasia, 3, London, 2009.**

სტატიაში გარკვეულია, რომ მაქსიმე აღმსარებლის თხზულების Ambigua ad Iohannem ვრცელი მონაკვეთები ჩართულია გრიგოლ ნაზიანზელის 38-ე საკითხავის კომენტარში, რომელიც ქართულად ნათარგმნია X საუკუნის ქართველი მთარგმნელის, ექვთიმე ათონელის მიერ. გამოვლენილია აგრეთვე ამ თარგმანის კიდევ ერთი წყარო – 38-ე საკითხავის X საუკუნის კომენტატორის, ბასილი მინიმუსის განმარტებები; გამოკვეთილია თარგმანის კომპილაციური ხასიათი, განხილულია თარგმანის ენა, ტერმინოლოგია, მთარგმნელობითი მეთოდი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ექვთიმე ათონელი ამ ტექსტზე მუშაობისას.

44. თ. ოთხმეზური, ფსევდონონეს კომენტარები – ქრისტიანთა გზამკვლევი ბერძნულ მითოლოგიაში, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ნაწ. II, რედ. ი. რატიანი, თბილისი, 2009.

სტატიაში წარმოჩენილია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა VI საუკუნის კომენტატორის თხზულების, ფსევდონონეს მითოლოგიური განმარტებების გავლენა შუა საუკუნეების ქართულ საერო მწერლობაზე (გამოვლენილია მისი უშუალო კვალი ამ ეპოქის საისტორიო მწერლობაში), ასევე აღორძინების ხანის ლიტერატურაზე (დავით ბატონიშვილის „მითოლოგიური ლექსიკონი“ და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი). გარკვეულია ამ თხზულების დანიშნულება გვიანდელ ეპოქაში. განმარტებების კრებული განხილულია, როგორც ერთი მხრივ, საცნობარო-საენციკლოპედიო ხასიათის, ხოლო მეორე მხრივ, რიტორიკულ სახეთა წყარო ქართველი მწიგნობრებისათვის.

45. თ. ოთხმეზური, ქ. ბეზარაშვილი, განათლება და მეცნიერება ბიზანტიაში: ბასილი კესარიელის თხზულებათა შემცველი ბერძნული ხელნაწერი და მისი მწიგნობრული თავისებურებანი, ბიზანტინოლოგია საქართველოში – 2, რედ. ნ. მახარაძე, მ. გიორგაძე, თბილისი, 2009.

ნაშრომში ჩატარებულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ბასილი კესარიელის თხზულებათა შემცველი X საუკუნის ბერძნული ხელნაწერის (Gr. 33/48) დეტალური პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური ანალიზი. შესწავლილია ხელნაწერის ძირითად ტექსტზე დართული მარგინალური შენიშვნები და ნიშნები, დადგენილია მათი რაობა (გრამატიკული, რიტორიკული, შინაარსობრივი და ა. შ.). გამოკვეთილია ამ ხელნაწერის სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულება ბიზანტიური შუა საუკუნეების მწიგნობრულ ტრადიციაში.

46. მ. რაფაგა, „იოანე მთავარაისძე, შავი მთის ქართველი მოღვაწე“, წახნაგი, ფილოლოგიურ კვლევათა წელიწადი, I, 2009.

ნაშრომში განხილულია შავი მთის ერთ-ერთი ქართველი მოღვაწის, იოანე მთავარაისძის, ცხოვრება და მოღვაწეობა. სხვადასხვა

წერილობითი წყაროების ურთიერთშედარებით, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ცნობებზე დაყრდნობით გამოკვეთილია შავ მთაზე და შესაძლოა, საქართველოში მისი მოღვაწეობის ხასიათი და მასშტაბები. თავისი ინტელექტუალური და მატერიალური თანადგომით იგი წარმართავდა ეფრემ მცირისა და სხვა ქართველი მოღვაწეების მწიგნობრულ საქმიანობას. მწიგნობრული მოღვაწეობისა თუ სამონასტრო საქმიანობის ასეთი მასშტაბები საფუძველს იძლევა იოანე მთავარაიძეს ვაღიაროთ შავი მთის ლიტურატურული კერის ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწედ. მისი ღვაწლისა და დამსახურების გამო იოანე მთავარაიძეს უფრო თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეთმოს ძველი ქართული ლიტურატურის ისტორიაში, ვიდრე მას აქამდე ეკავა.

47. მ. რაფაგა. ნ. ჩიკვატია. სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის „სინანულისა მიმართ“ ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი 2, 2009.

ძველ ქართულ მწერლობაში სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის (XI ს.) არცერთი თხზულების თარგმანი არ იყო ცნობილი. არსენ იყალთოელის “დოგმატიკონში” დასტურდება თხზულება, რომელიც ნიკიტა სტითატის სახელს ატარებს. აღმოჩნდა, რომ ამ თხზულების ავტორი სინამდვილეში არის სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. თარგმანის შედარებამ სიმეონის ბერძნულ ორიგინალთან მათი სრული იდენტურობა დაამტკიცა.

48. მ. რაფაგა. Or. 39 _ Sur le Bapteme de Gregoire de Nazianze dans les Mravalthavi georgiens, Studia Nazianzenica, II, Turnhout: Brepols Publishers, 2009, Corpus Nazianzenum, 24, ed. By A.R. Schmidt.

გრიგოლ ნაზიანზელის Or. 39 –ის სამი ქართული თარგმანიდან (ანონიმის, ეფთვიმე მთაწმიდელის და ეფრემ მცირის) უძველესია ანონიმის თარგმანი, რომელიც დასტურდება პარხლისა და ტბეთის მრავალთავეებში. მრავალთავეისეული ტექსტი მოცულობითაც და ტექსტობრივი წაკითხვებითაც განსხვავდება ორიგინალისგან და სხვა ქართული თარგმანებისგან. ყველა მონაცემის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ანონიმის თარგმანი შესრულებულია იმ მოთხოვნებით და პრინციპებით, რასაც ითვალისწინებდა მრავალთავეის, როგორც სპეციფიკური კრებულის, მიზანდასახულება. ზოგი საღვთისმეტყველო პრობლემის გაგებითა და ტერმინთა მნიშვნელობის გააზრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალთავეის თარგმანი შესრულებულია ძალზე ადრეულ ხანაში, VI-VII საუკუნეებში.

49. მ. რაფაგა. სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ ძველ ქართულ მწერლობაში არსებული პოლემიკური თხზულებების სტილისტიკა, ბიზანტინოლოგია – 2, თბილისი, 2009.

ძველ ქართულ მწერლობაში სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ არსებობს როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური პოლემიკური თხზულებები. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული სტილისტიკით ხასიათდებიან. ადრეული ხანის, XIII ს.-მდე არსებულ

თხზულებებში დისკუსიის ტონი აკადემიური და გაწონასწორებულია. პოლემიკა წარმოებს მტკიცებისა და ილუსტრირების მეთოდოლოგიით. მომდევნო ხანის ძეგლებში პოლემიკა პამფლეტურ და აგრესიულ ხასიათს იძენს. საღვთისმეტყველო საკითხები და ისტორიული რეალიები ზღაპრულ-ლეგენდური გადმოცემებით იმოსება.

50. M. Rafava. A Fragment of Maximus the Confessor's Quaestiones ad Thalassium in old Georgian Manuscripts, Maximus the Confessor and Georgia, in Iberica Caucasica, 3, Bennet & Bloom, London.

იოანე დამასკელის “გარდამოცემის” ქართულ თარგმანებში (ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისა) ბერძნული ორიგინალისაგან განსხვავებით, დასტურდება ფრაგმენტი მაქსიმე აღმსარებლის თხზულებიდან “თალასეს მიმართ სიტყვსება”. ფრაგმენტი სქოლიოს სახით ახლავს “გარდამოცემის” 25-ე თავს “სამოთხისათვის”. ორსავე ქართულ თარგმანში ფრაგმენტის ერთსა და იმავე თარგმანთან გვაქვს საქმე. ქართული თარგმანების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ მაქსიმეს ფრაგმენტი გამოუყენებია არსენ იყალთოელს და მოგვიანებით ეფრემის თარგმანში შეუტანიათ მისი ნუსხების გადამწერებს. ფრაგმენტის შედარება “თალასეს მიმართ სიტყვსების” სრულ თარგმანებთან (ეფთვიმე მთაწმიდელის და ნიკოლოზ გულაბერიძის) ავლენს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომელიც ტიპიური იყო ამ მთარგმნელთა შემოქმედებით-მთარგმნელობითი საქმიანობისათვის.

51. მ. რაფავა. ერთი იამბიკოს შესახებ პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნისა“ და იოანე პეტრიწის „განმარტებების“ ე.წ. ბოლოსიტყვაობაში. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოიცა 2009 წელს).

ნაშრომი ეძღვნება პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ და იოანე პეტრიწის „განმარტებებზე“ დართულ ე.წ. ბოლოსიტყვაობაში დადასტურებულ ერთ იამბიკოს, რომლის შინაარსი მოითხოვს დაზუსტებას. დეტალურადაა მოცემული ტექსტის ანალიზი და მოცემულია იამბიკოს ტექსტის ავტორისეული გააზრება.

52. გ. საითიძე, ახალი მასალები წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოდვაწეობის ისტორიიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თურნ. "ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ტ. I, თბ., 2009.

1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გაფართოებული კრება, რომელზეც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისთან, მიტროპოლიტ ნაზარისთან, თევდორე მღვდელთან, გაბრიელ ეპისკოპოსთან და სხვა გამოჩენილ მამულიშვილებთან ერთად,

წმინდანად შეირაცხა დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწე და მეცნიერი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე (1899-1942 წწ.).

ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო წრეებისათვის ჯერჯერობით ნაკლებად არის ცნობილი გრ. ფერაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა. წინამდებარე ნაშრომში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანეთ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გრ. ფერაძის პირად საარქივო ფონდში, დაცული 6 დღემდე უცნობი დოკუმენტი. ესენია წერილები, რომლებიც 1964-1970 წლებში მამა გრიგოლის უმცროს ძმას, თბილისში მცხოვრებ ვასილ ფერაძეს (1903-1982 წწ.) გამოუგზავნეს საფრანგეთში მოღვაწე გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა – რუსთაველოლოგმა ვიქტორ ნოზაძემ (1894-1975 წწ.), ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალის – "ბედი ქართლისა" – ერთ-ერთმა დამფუძნებელ-გამომცემელმა კალისტრატე სალიამ (1901-1986 წწ.), ლონდონის უნივერსიტეტის ქართული ენის პედაგოგმა, ქართველოლოგიური ჟურნალის – "Georgica" – ერთ-ერთმა დამფუძნებელ-გამომცემელმა ანდრია გუგუშვილმა, აგრეთვე, პოლონეთში მცხოვრებმა სამხედრო პირებმა ნიკოლოზ მათიკაშვილმა და მიხეილ კვალიაშვილმა.

53. გ. საითიძე, ახალი შტრიხები ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და გიორგი კვინიტაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიიდან

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების რუსთაველის ფონდი, "შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიატთა შრომები", ტომი II, თბ., 2009.

ნაშრომის პირველ ნაწილში, ქართული ისტორიოგრაფიის განკარგულებაში ამჟამად არსებულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, განხილულია საქართველოს ეროვნული გმირის – ქაქუცა ჩოლოყაშვილისა (1888-1930 წწ.) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის (1874-1970 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები.

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოვადგინეთ ბოლო წლებში ჩვენს მიერ მოპოვებული ახალი საარქივო მასალა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და გიორგი კვინიტაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ და მათ სათანადო ისტორიოგრაფიული ანალიზიც გავუკეთეთ. აღნიშნული საარქივო მასალებია:

1) გიორგი კვინიტაძის პირადი არქივი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს 2007 წლის ოქტომბერში საჩუქრად გადმოსცა გენერლის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნანო კვინიტაძემ. ამჟამად ჩვენ ვამუშავებთ გიორგი კვინიტაძის პირად არქივს, სადაც დაცულია უაღრესად საინტერესო საარქივო მასალა XX საუკუნის 10-60-იანი წლების, როგორც პირადად გიორგი კვინიტაძის ცხოვრება-მოღვაწეობის, ისე აღნიშნული პერიოდის ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

2) 1998 წელს ტელეკომპანია "იბერია"-ში, ჩვენს საავტორო გადაცემათა ციკლში – "სახეები" მოვამზადეთ დოკუმენტური ფილმი გიორგი კვინიტაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ და გამოვაქვეყნეთ წიგნიც

სახელწოდებით "გენერალი გიორგი კვინიტაძე", რის შემდეგაც დაუკავშირდით ქალბატონ ნანო კვინიტაძეს და მამის შესახებ დამატებითი ცნობების მოწოდება ვთხოვეთ. ქალბატონმა ნანომ იმავე წელს გამოგვიგზავნა მათ საოჯახო არქივში დაცული რამდენიმე უნიკალური ფოტოსურათის ასლი (მათი დედნები ამჟამადაც ნანო კვინიტაძის ოჯახში ინახება).

3) 2007 წელს, საფრანგეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, წლების მანძილზე საფრანგეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბატონმა ოთარ პატარიძემ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს უსახსოვრა მამის, ემიგრაციაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის – ელისე პატარიძის პირადი არქივი. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული არქივის დამუშავებაც.

ელისე პატარიძის პირად არქივში აღმოჩნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან დაკავშირებული რამდენიმე უნიკალური წერილობითი, თუ ფოტომასალა, კერძოდ: ელისე პატარიძის უცნობი ლექსის – "ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას" ხელნაწერი; XX საუკუნის 20-იან წლებში გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართველ ოფიცრებთან და ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

54. გ. საითიძე, მასალები არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძისა და აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ურთიერთობის ისტორიიდან (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, შრომების კრებული, ტ. I, თბ., 2009.

ნაშრომში განხილულია დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწისა და მეცნიერის, არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის (1899-1942 წწ.) ურთიერთობა აკადემიკოს კორნელი კეკელიძესთან (1879-1962 წწ.). მას საფუძვლად დაედო გრ. ფერაძის მიერ კ. კეკელიძისადმი გაგზავნილი დღემდე გამოუქვეყნებელი 14 წერილი, რომლებიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კ. კეკელიძის პირად საარქივო ფონდში.

გრ. ფერაძის მიერ კ. კეკელიძისადმი გაგზავნილი წერილები ქრონოლოგიურად 1925-1930 წლებს განეკუთვნება. ისინი მრავალმხრივია საინტერესო და ყურადსაღები: მათი მეშვეობით საბოლოოდ ზუსტდება აღნიშნულ წლებში გრ. ფერაძის ბიოგრაფიის არაერთი დეტალი; გარდა ამისა, იგი მასწავლებელს ვრცლად აღუწერს თავისი სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობას როგორც საკუთრივ გერმანიაში, ისე იმ ქვეყნებში, სადაც სამეცნიერო მიზნებით უხდებოდა ყოფნა; გულახდილად უზიარებს აზრებს სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემატიკის, უკვე დასტამბული თუ სამომავლოდ დასაბეჭდი ნაშრომების შესახებ; სთხოვს რჩევებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით; ატყობინებს ზოგადად ევროპულ მეცნიერებაში და, კერძოდ, ქართველოლოგიაში შექმნილ ვითარებას; განიხილავს გამოჩენილი მეკლევრების – პაულ პეეტერსის, ჰაინრიხ გუსენის, ანტონ ბაუმშტარკის, იოზეფ მარკვარტისა და სხვათა მოღვაწეობას ქართველოლოგიის დარგში; ცდილობს (და ამას წარმატებით ახერხებს კიდევც) დაეხმაროს აღნიშნულ პიროვნებებთან სამეცნიერო კონტაქტების დამყარებაში; ეხმარება მისი ნაშრომების

გერმანიაში გამოქვეყნებისა და პოპულარიზაციის საქმეში; ცდილობს, მოიპოვოს კ. კეკელიძისათვის საინტერესო უახლესი უცხოურენოვანი სამეცნიერო გამოკვლევები; აღუწერს მის მიერ მოძიებულ და შეძენილ უცნობ უძველეს ქართულ ხელნაწერებს; აინტერესებს საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შექმნილი ვითარება და ა. შ.

55. გ. საითიძე, მასალები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (სამცხე-საათაბაგოს მთავრის მანუჩარ II ჯაყელის 1579 წელს სტამბულში ვიზიტის ამსახველი უცნობი ოსმალური მინიატიურა), კრებ. "დავით კაციტაძე – 80", თბ., 2009.

ნაშრომის შესავალში განხილულია ისტორიული შინაარსის შემცველი ქართული და უცხოური (შუააზიური, სპარსული, თურქული) მინიატიურები. სტატიის ძირითად ნაწილში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს ქართველ მკვლევართათვის დღემდე უცნობი ოსმალური მინიატიურა, რომელიც 1579 წელს სამცხე-საათაბაგოს მთავრის – მანუჩარ II ჯაყელის (მუსტაფა ფაშა) სტამბოლში სულთნის მურად IV-ის (1574-1595 წწ.) კარზე დიპლომატიურ ვიზიტს ასახავს. აღნიშნული მინიატიურა დაცულია თანამედროვე თურქი ისტორიკოსის ჰალით ოზდემირის ნაშრომში „ართვინის ისტორია“ (2 ტომად, ანკარა, 2001-2002).

56. გ. საითიძე, უცნობი დოკუმენტები გენერალ გიორგი კვინიტაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიიდან (XX საუკუნის 60-იანი წლები), კრებ. "საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები", აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ტ. II, ქუთაისი, 2009.

წინამდებარე სტატიაში განხილულია გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის (1874-1970 წწ.) ცხოვრება-მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ, უმთავრესი ყურადღება გამახვილებულია მის ურთიერთობაზე მთავრობის თავმჯდომარესთან – ნოე ჟორდანიასთან და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების სხვა წევრებთან 1918-1921 წლებში და შემდგომშიც, ემიგრაციაში ყოფნის დროს.

სტატიაში პირველად ვაქვეყნებთ და შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში გიორგი კვინიტაძის პირად არქივში (იგი 2007 წელს მისმა ქალიშვილმა – ნანო კვინიტაძემ საჩუქრად გადასცა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს) დაცული დღემდე უცნობი ორი წერილი, კერძოდ, ცნობილი იურისტის, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის, 1918-1921 წლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის – რაჟდენ არსენიძის (1880-1965 წწ.) მიერ 1963 წლის 28 იანვარს გაგზავნილი წერილი გიორგი კვინიტაძისადმი და ამ უკანასკნელის საპასუხო წერილი მისდამი.

57. გ. საითიძე, გ. საითიძე. ახალი მასალები აკაკი და თამარ პაპაევების ცხოვრება-მოღვაწეობიდან (XX საუკუნის 10-50-იანი წლები), აღმანახი "სამშობლო", № 1, თბ., 2009

XX საუკუნის ცნობილი ქართველი ემიგრანტი მოღვაწეების – თამარ და აკაკი პაპაევების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლა საქართველოში 80-90-იანი წლების მიჯნაზე დაიწყო. ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაინც ზღვაში წვეთია მასალების საერთო რაოდენობასთან შედარებით, ბევრი წყარო ჯერ კიდევ გამოვლენას და დღის სინათლეზე გამოტანას ელის.

წინამდებარე ნაშრომში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანეთ აკაკი და თამარ პაპაევების ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული 5 დღემდე უცნობი დოკუმენტი, რომლებიც ქრონოლოგიურად 1918-1954 წლებს განეკუთვნება. ერთ-ერთი დოკუმენტი, კერძოდ, აკაკი პაპაევს ავტობიოგრაფია, ჩვენ მოვიძიეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, ხოლო დანარჩენი ოთხი დოკუმენტი დაცულია აკაკი და თამარ პაპაევების პირად არქივში, რომელიც ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

პაპაევები განსაკუთრებით მეგობრობდნენ გამოჩენილი ქართველი სამხედრო პირის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის (1874-1970 წწ.) ოჯახთან, მის მეუღლესთან – მარიამ მაყაშვილთან, ქალიშვილებთან – იდასთან, თამისა და ნანოსთან. ეს უაღრესად თბილი ურთიერთობები ნათლად გამოსჭვივის პაპაევების არქივში დაცული 4 წერილიდან, რომელთაგან ერთ-ერთის ავტორი გიორგი კვინიტაძეა, ხოლო დანარჩენი წერილები მარიამ მაყაშვილს ეკუთვნის.

58. ლ. სამყურაშვილი. შუააზიური კოლექციის არაბული სამედიცინო ხელნაწერები. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოიცა 2009 წელს).

ნაშრომში განხილულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბული ხელნაწერების – კაჯარული, ლოკალური, შუააზიური – კოლექციების შუააზიური კოლექციის სამედიცინო შინაარსის ხელნაწერები. წარმოდგენილია მათი მოკლე აღწერილობები, თხზულებების რაობა, მათი შექმნის თარიღები, ავტორთა ვინაობა, არის მცდელობა დადგინდეს ამ თხზულებების ადგილი მედიცინის ისტორიის ზოგად ჭრილში და განსაზღვრულია როდის და როგორ აისახა ისინი ქართულ ისტორიულ სამედიცინო მწერლობაში.

59. ქ. ტატიშვილი. ანტონ კათალიკოსის ორიგინალურ საგალობელთა მიმართება ბიბლიურ წიგნებთან (დავით აღმაშენებლისა და გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა მიხედვით). „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოიცა 2009 წელს).

ანტონ I კათალიკოსის დავით აღმაშენებლისა და გრიგოლ ხანძთელისადმი მიძღვნილ საგალობლებში გვხვდება ბიბლიური

სიუჟეტები და სახე-სიმბოლოები. რადგან სასულიერო პოეზია კანონიკურია, ამიტომ ანტონ კათალიკოსი ბიბლიური სახე-სიმბოლოების გამოყენების ტრადიციულ გზას მიჰყვება. ჰიმნები მდიდარია პარაფრაზებითა და ალუზიებით, მაგრამ არც ერთხელ არ არის პირდაპირი ციტატა. როგორც ჩანს, ანტონი ზეპირად იმოწმებს წმინდა წერილს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგალობლის ტექსტი ფაქტებით მდიდარია და ეს აძლევს მას საშუალებას, ეძებოს ბიბლიური ანალოგიები. სწორედ ამიტომ ფაქტობრივი მასალით მეტად მწირი გრიგოლ ხანძთელის საგალობლის ტექსტი, დავით აღმაშენებლის საგალობლისგან განსხვავებით, ღარიბია ბიბლიურ წიგნებთან მიმართების თვალსაზრისითაც.

60. ე. ქავთარაძე. მაქსიმე აღმსარებლის კვლევის ისტორია საქართველოში. კრ. „დიდაქარობა“. 2009

მოძიებული საარქივო მასალის თანახმად წერილში წარმოჩენილია მაქსიმე აღმსარებლის კვლევის ისტორია საქართველოში. ს კვლევა ძირითადად XX საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. აქსიმეს პირველი მკვლევარები იყვნენ კორნელი კეკელიძე და დავით ყიფშიძე.

61. E. qavTaraZe. David Qipshidze and his research on the life and works of Maximus the Confessor. “Maximus the Confessor and Georgia”. London. 2009.

სტატია დაიბეჭდა მაქსიმე აღმსარებლის კვლევის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში. სტატიაში საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია დავით ყიფშიძის როლი მაქსიმე აღმსარებლის კვლევის ისტორიაში. გამოყოფილია მეცნიერის კვლევის ძირითადი მიმართულებები – არქეოლოგია, ფილოლოგია, ფოლკლორი.

62. ც. ქურციკიძე. პავლეს აპოკალიფსი („პავლეს ცათა მოხილვა“). „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოიცა 2009 წელს).

შრომა წარმოადგენს III საუკუნის ძველად მიჩნეული „პავლეს აპოკალიფსის“ (იგივე „პავლეს ცათა მოხილვა“) ქართულ ენაზე დაცული ხუთი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ტექსტის გამოცემას. გარდა ტექსტის დადგენა-გამოქვეყნებისა, ნაშრომში მიმოხილულია ამ ტექსტების შემცველი ხელნაწერების შესახებ ინფორმაცია.

63. ნ. ყანჩაველი. გიორგი წერეთელი – დაღესტნური არაბულენოვანი ძეგლების მკვლევარი. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოიცა 2009 წელს).

ნაშრომში წარმოჩენილია აკადემიკოს გიორგი წერეთლის დეაწლი ჩვენში დაღესტნური წარმოშობის არაბულენოვანი ძეგლების შესწავლის მხრივ. ნაჩვენებია, რომ მის მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებული შამილის წერილები ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაოს მკვლევარმა ისტორიული დოკუმენტების გამოცემაზე.

ნაშრომში მსჯელობაა დადესტანში არაბული ენის გავრცელების შესახებ და შამილის წერილებზე.

64. ლ. შათირიშვილი, ბასილი ანკვირიელის თხზულების ქართული თარგმანის საგარაუდო ბერძნული დედნის დადგენის ცდა, „მრავალთავი“. № 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

სტატია ეხება ბასილი ანკვირიელის ასკეტიკურ თხზულებას „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“, რომელიც დაცულია ძველ ქართულ თარგმანთა შორისა. ტრაქტატი დაწერილია ბერძნულად IV საუკუნეში და თარგმნილია არაერთ ენაზე, მათ შორის ქართულადაც ჯერ კიდევ XI საუკუნეში გიორგი ათონელის მიერ. არსებობს თხზულების პირველი ბეჭდური გამოცემა 1535 წლისა.

ტრაქტატის ბერძნული ნუსხები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: I-A და II –B. მათგან სხვაობს ერთი პარიზული ნუსხა ფ. 969, აღნიშნული ლიტერით 28. თვალსაჩინო ხდება, რომ ზოგიერთი ცვლილება, რომლებსაც იძლევა ბერძნული ნუსხები ბეჭდური ტექსტისაგან განსხვავებით, მოცემულია ქართულ თარგმანშიც, რისი მიზეზიც უნდა იყოს ის ბერძნული დედანი, რომლითაც სარგებლობდა მთარგმნელი. ძნელია იმის თქმა, კონკრეტულად რომელ ტექსტს იყენებდა სათარგმნელად გიორგი ათონელი, მაგრამ მის ხელთ არსებული პირი უნდა ყოფილიყო საკმაოდ კარგად გამართული ბერძნული AT28 ჯგუფის ნუსხა.

65. ლ. შათირიშვილი. ვებგვერდისათვის განკუთვნილ ხელნაწერთა ელექტრო კატალოგის შედგენის პრინციპები. კრ.: „ქართული ხელნაწერი წიგნი (ვებგვერდის შექმნა)“, 2009.

სტატია შეეხება ხელნაწერთა სამეცნიერო-პოპულარული კატალოგების შედგენისა და ელექტრონულ საინფორმაციო სივრცეში მათი განთავსების პრინციპებს. არსებული გამოცდილების საფუძველზე ავტორი გამიჯნავს ხელნაწერთა ელექტრონული კატალოგების განსხვავებულ ტიპებს: პროფესიული საჭიროების სამეცნიერო და ფართო სოციუმისთვის განკუთვნილ სამეცნიერო-პოპულარულ კატალოგებს; განსაზღვრავს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და ვიზუალური მასალის მიწოდების პრინციპებს.

66. ე. შევლიძე, დ. შევლიძე. აკაკი პაპავას მიმოწერა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, აღმანახი "სამშობლო", № 1, თბ., 2009.

ნაშრომში საუბარია ქართველი ემიგრანტის აკაკი პაპავას წერილებზე, რომლებიც ეხება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის 50 წლის იუბილეს. სტატიაში ამგვარ 20-მდე წერილზეა საუბარი. ეს არის წერილების ერთი ნაწილი. ქრონოლოგიურად ისინი 1950-იანი წლების ქართული ემიგრაციის ცხოვრებასა და საქმიანობას ეხება.

67. ნ. ჩიკვატია. არსენ იყალთოელის ერთი ტერმინოლოგიური ხასიათის კომენტარი „დოგმატიკონიდან“, ბიზანტინოლოგია საქართველოში 2, II, თბილისი, 2009.

ძველი ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინოლოგიური კვლევა-ძიებისთვის უზომოდ მნიშვნელოვანია თეორიული გამონათქვამები, რომლებსაც ქართველი მთარგმნელები კომენტარის სახით ურთავდნენ ნათარგმნ ტექსტებს ამა თუ იმ ტერმინის წარმოშობის, მისი მნიშვნელობის განმარტებისა და დაზუსტების მიზნით. ქართული მწერლობის ელინოფილური მიმდინარეობის მწერალთა შრომებში აღნიშნული შინაარსის კომენტარები, როგორც ზოგადად ყველა კომენტარი, კოლოფონის სახით არის წარმოდგენილი ხელნაწერებში.

ერთ-ერთი ასეთი უაღრესად საყურადღებო კომენტარი ეკუთვნის არსენი იყალთოელს. „დოგმატიკონში“ ანასტასი სინელის (VI ს.) „წინამძღვარში“ მსჯელობა მიმდინარეობს საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინების *fuvsio* და *αποστασις* -ის შესახებ ერესიარს სევეროს ანტიოქიელის ერეტიკული შეხედულების გარშემო.

მთარგმნელი, არსენ იყალთოელი, ხელნაწერის აშიაზე არსებულ კოლოფონში მსჯელობს რა ამ ტერმინების ყოფით მნიშვნელობაზე სასაუბრო ბერძნულში და მათ ქართულ შესატყვისებზე, ცდილობს ახსნას, თუ სევერიანები რატომ არ იღებდნენ მათ ტერმინულ მნიშვნელობას.

68. ნ. ჩიკვატია. ელინური სიბრძნე და ერეტიკოსთა სწავლება ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღვარში“. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომში განხილულია პრობლემატური საკითხი : როგორია ეფთვიმე მთაწმიდლის დამოკიდებულება ელინურ-წარმართული სიბრძნისა და ერეტიკოსების კულტურულ-რელიგიური პოზიციების მიმართ, როგორ არის გადმოტანილი ქართულ თარგმანში ელინური და ერეტიკული იდეები, თემები, პერსონაჟები და ა.შ.

69. ნ. ჩიკვატია. შესავალი. ქართული ხელნაწერი წიგნის ვებგვერდის შექმნის პრინციპები. კრ.: „ქართული ხელნაწერი წიგნი (ვებგვერდის შექმნა)“, 2009.

შესავალში შეჯამებულია შესრულებული სამუშაოები; სვანეთსა და ისტორიული ტაო-კლარჯეთში დაცული ძეგლების პროექტის ფარგლებში შესწავლის საფუძველზე ყურადღება გამახვილებულია მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვაში სოციუმის ინფორმირებულობისა და მისი მოტივაციის მნიშვნელობაზე.

სტატიაში განხილულია ხელნაწერი წიგნის, როგორც კულტურული ფენომენის, შესახებ დღემდე არარსებული კრებსითი ინფორმაციის შედგენისა და ელექტრონულ საინფორმაციო სივრცეში მისი ჩართვის პრინციპები; ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ვებგვერდზე განთავსებული მასალა უპასუხებს როგორც ფროფესიონალთა, ასევე ფართო სოციუმისა და, განსაკუთრებით კი, სასკოლო-საუნივერსიტეტი სივრცის ინტერესებს; აღნიშნულია აუდიო-ვიდეო მასალის დართვის

მნიშვნელობა სამეცნიერო-პოპულარული ვებგვერდის შემეცნებითი და საგანმანათლებლო ფუნქციის გასაძლიერებლად.

70. ე. ცაგარეიშვილი. სტეფანოზ ორბელიანის ცნობები საქართველოს შესახებ. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომი ეხება XIII-XIV საუკუნეების სომეხი ისტორიკოსის, პოლიტიკური და კულტურული მოღვაწის სტეფანოს ორბელიანის ცნობებს საქართველოს შესახებ.

71. თ. ცერაძე, ლ. ხოფერია. დანიელ ხამბაშურის ეპისტოლე – ქართული კანონიკური მწერლობის დღემდე უცნობი ძეგლი. „მრავალთავი“. 22. 2007 (გამოცა 2009 წელს).

ნაშრომში საუბარია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის ფილიალში დაცული ქართული ხელნაწერის (C24) შესახებ, სადაც დაცულია დანიელ ხამბაშურის ეპისტოლე – ქართული კანონიკური მწერლობის აქამდე უცნობი ძეგლი. დეტალურადაა მსჯელობა ხელნაწერის შესახებ, ძეგლის ავტორზე, თარიღზე, ტექსტის ანალიზზე. აქვე გამოქვეყნებულია თვითონ ტექსტი.

72. თ. ცერაძე, ლ.ხოფერია, პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია: ისტორია და ახალი მიგნებები, ჟურნალი "ინტელექტი", თბილისი, 2009 №1(33)

სტატიაში მოკლედია გადმოცემული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის ფილიალის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის შექმნის ისტორია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღნიშნული კოლექციის სასულიერო შინაარსის მქონე ქართულ ხელნაწერებს და მათგან, კერძოდ, იმ ხელნაწერებს, რომლებშიც დაცულია დღემდე შეუსწავლელი ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი. აღნიშნული თხზულებები სტატიის ავტორებმა გამოავლინეს 2004-2008 წლებში, პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ქართული სასულიერო შინაარსის ხელნაწერების სრულ სამეცნიერო აღწერილობაზე მუშაობის დროს.

73. თ. ცერაძე, ლ. ხოფერია, თეიმურაზ ბატონიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ამსახველი ერთი ახლად მიკვლეული წყარო (პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციიდან), ჟურნ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, № 7-9, 2009, გვ. 127-132

ნაშრომში გაანალიზებული ტექსტი დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის ფილიალის ერთ ქართულ ხელნაწერში (E 36) დაცული

თხზულება, წარმოთქმული გრიგოლ კონსტანტინეპოლის პატრიარქის (მოკლული იქნა თურქების მიერ 1821 წ.) დაკრძალვაზე მისი იკონომოსის, კონსტანტინეს მიერ. იგი რუსულიდან ქართულად უთარგმნია თეიმურაზ ბაგრატიონს. თეიმურაზის თარგმანი დღემდე დაკარგულად ითვლებოდა - მის შესახებ ცნობილი იყო თეიმურაზის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგიდან, რომელიც თავად ბატონიშვილის მიერაა შედგენილი. ამგვარად, ეს ახლად მიკვლეული თარგმანი ფასეულ წყაროს წარმოადგენს თეიმურაზ ბაგრატიონის ლიტერატურული და მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესასწავლად.

74. თ. ცერაძე, ლ. ხოფერია. იოანე მოწყალის „ცხოვრების“ დღემდე უცნობი სვინაქსარული რედაქცია, ჟურნ. „ინტელექტი“, № 2 (34), თბ., 2009.

ნაშრომში გაანალიზებულია „იოანე მოწყალის ცხოვრების“ დღემდე უცნობი სვინაქსარული რედაქცია, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ნუსხაში A 382 (XV საუკუნე). ეს უკანასკნელი სრულიად სხვაობს აქამდე ცნობილი სვინაქსარული რედაქციისაგან, რომელიც გიორგი ათონელს მიეკუთვნება. ნაშრომში აგრეთვე გამოკვლეულია ახლად გამოვლენილი სვინაქსარული რედაქციის მიმართება იოანე მოწყალის „ცხოვრების“ სხვა ქართულ რედაქციებთან და შესაბამის ბერძნულ წყაროებთან. ნაშრომს ერთვის მეორე სვინაქსარული რედაქციის ტექსტის გამოცემა.

75. თ. ცერაძე, ლ. ხოფერია, „წამება ლარგვისის არქიმანდრიტის პაფნოტისა“ (ერთი ახლადმიკვლეული წყარო 1804 წლის მთიულეთის აჯანყების შესახებ), ჟურნ. „ენა და კულტურა“, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, № 1, ქუთაისი, 2009.

„პაფნოტის წამების“ ტექსტი, რომელიც გამოვლინდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის ფილიალის ხელნაწერში M 49, მოგვითხრობს 1804 წლის მთიულეთის აჯანყების შესახებ. თხზულების ავტორი – ლარგვისის არქიმანდრიტი პაფნოტი უშუალო მონაწილეა ტექსტში აღწერილი მოვლენებისა. აღნიშნული თხზულების მეორე რედაქცია დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ნუსხაში S 1206. სტატიაში გაანალიზებულია ორივე რედაქციის ტექსტობრივი მონაცემები და დადგენილია, რომ თბილისური რედაქცია პეტერბურგული რედაქციის გადამუშავებას წარმოადგენს. თხზულებაში აღწერილი რეაქციების შესწავლის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ პეტერბურგული რედაქციის შექმნის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1808 წელი, თბილისური რედაქციის შექმნის თარიღად კი – 1808-1811 წწ. თხზულება ფასეულ წყაროს წარმოადგენს მთიულეთის აჯანყების ისტორიის საკვლევად; ამასთან, იგი ძალზე საინტერესო ლიტერატურული ძეგლია, რომელშიც კარგად იკვეთება ტრადიციული ლიტერატურული ჟანრების განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესი.

76. თ. ჯოჯუა. მღვდელმონაზონი იოანე მუნჯის ბიბლიოგრაფიული მინაწერი (1772 წ.) იერუსალიმში გადატანილი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven 4-ის)

აშიებიდან. კრებ.: „საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები“. II. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2009.

ბამოქმეცნეული თეზისები:

1. **თ. აბულაძე.** ქართული სამეცნიერო შინაარსის ხელნაწერები და აღმოსავლური კულტურული ტრადიცია. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
2. **ც. აბულაძე.** აღმოსავლეთმცოდნეთა კვლევის ძირითადი მიმართულებანი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
3. **ხ. ბაინდურაშვილი.** ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი მუსლიმური კატეხიზმოს შესახებ (P 387). მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
4. **რ. გვარამია, ნ. ყანჩაველი.** შუა აზიის არაბულ ხელნაწერთა კოლექცია. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
5. **ე. დულაშვილი.** იადგარი – ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფიის ამსახველი ძეგლი. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
6. **ე. ედიშერაშვილი.** XVI-XVII საუკუნეების მხატვრობის ტენდენციები თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსანის“ მოხატულობაში. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
7. **ვ. თარგამაძე.** დიგიტალიზაციის ლაბორატორია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
8. **ნ. თარგამაძე.** საბიბლიოთეკო საქმე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
9. **ვ. კეკელია.** იოანე ვარძიელის ანდერძის დათარიღებისათვის. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
10. **დ. კლდიაშვილი.** რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინესა და პეტრე I-ის ფერადი გრაფიურა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების ფონდიდან. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
11. **ბ. კუდავა.** კიდევ ერთხელ დავით აღმაშენებლის ანდერძის ნაყაღბეგობის შესახებ. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.

12. **ე. მაჭავარიანი.** ქართულ მოხატულ ხელნაწერთა შესწავლის ისტორია. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
13. **ნ. მეღიქიშვილი.** იოანე ოქროპირის თხზულებათა შემცველი კრებული „მარგალიტი“. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
14. **26. ნ. მეღიქიშვილი,** „ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური მწერლობა“, ბიზანტინოლოგთა III საერთაშორისო კონფერენციის თეზისები.
15. **პ. ნაცვლიშვილი.** არგენტინის ქართული ემიგრაციის საარქივო მემკვიდრეობა. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
16. **თ. ოთხმეხური, კ. ბეზარაშვილი.** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბერძნული კოლექცია. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
17. **მ. რაფავა.** ლეგენდური გადმოცემები გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებასა“ და „იოანე ოქროპირის“ მათეს სახარების თარგმანებაში. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
18. **ლ. სამყურაშვილი.** X-XIII საუკუნის ქართული სამედიცინო წიგნები და მათი არაბული წყაროები. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
19. **გ. საითიძე,** ვახუშტი ბატონიშვილი და მოსკოვის უნივერსიტეტი, II სამეცნიერო კონფერენცია "საქართველო და გარე სამყარო" (მოხსენებათა თეზისები; 2009 წლის 30 ივლისი), თბ., 2009.
20. **გ. საითიძე, ე. ქავთარია.** არქივთმცოდნეობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხელნაწერთა ინსტიტუტში). მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
21. **მ. სურგულაძე.** ქართული წყაროთმცოდნეობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (1959-2009 წწ.). მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
22. **ქ. ტატიშვილი.** ანტონ I კათალიკოსისეული სადღესასწაულო. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
23. **ნ. ქავთარია.** ათაბაგთა კარის სკრიპტორიუმი XV-XVI საუკუნეებში. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
24. **ლ. ქურდაძე.** საგამოფენო საქმე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ისტორიული ასპექტი და თანამედროვე პროცესები). მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I

- საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
25. **ც. ქურციკიძე.** ძველი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანების გამოცემისა და შესწავლის ისტორიისათვის. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
26. **ლ. შათირიშვილი, თ. ქართველიშვილი.** პოლემიკური თხზულება „ჯსენებად სიტყვს-გებისად და სასჯელისად შჯულისათუს ქრისტეანეთადასა და სარკინოზთად (ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი). მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
27. **ნ. ჩიკვატია,** ანასტასი სინელის „წინამძღუარში“ დაცული ერთი იკონოგრაფიული გამოსახულების შესახებ. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
28. **დ. ჩიტუნაშვილი,** ვენურ ხელნაწერში დაცული ქებათა ქების ტექსტოლოგიური კვლევა. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
29. **ნ. ჩხიკვაძე, მ. კარანაძე.** უძველესი ქართული ყდები სვანური კოლექციიდან. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
30. **ე. ცაგარეიშვილი.** ქართული არმენოლოგიის ისტორიიდან. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
31. **თ. ცერაძე, ლ. ხოფერია,** ვახუშტი ბერატონის გალექსილი ბიბლია (სანკტ-პეტერბურგში დაცული ავტოგრაფული ნისხის მიხედვით). მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.
32. **თ. ჯოჯუა.** ქართლ-კახეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯრის თავდაპირველი ტექსტის დადგენისათვის. მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე - „ქართული ხელნაწერი“, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი.